საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 30

2024 წლის 16 იანვარი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2024 წლის 12 იანვრის N-MES 3 24 0000022107 კორესპონდენციის გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცნობილი არქეოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის, გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის მმართველის - შოთა მამულაძის ღვაწლის დაფასებისა და დაკრძალვის ხარჯების დასაფარად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 5 000 (ხუთი ათასი) ლარი და მატერიალური დახმარების სახით გადაეცეს გარდაცვლილის ოჯახს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) მოახდინოს შესაბამისი მიზნობრივი დაფინანსება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (მ. ხაჯიშვილი) უზრუნველყოს ბრძანებით გამოყოფილი თანხის მიზნობრივი განკარგვა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დორნიკე რიჟვაძე

231-02-2-202401171156
https://edocument.ge/AdjaraGov/public